



საქართველოს სკოლა

საბანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი დაფუძნდა 2006 წელს განსხვავებული და ხანგრძლივი ისტორიის მქონე 6 ინსტიტუტის გაერთიანების შედეგად. ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს სტუდენტთა და პროფესორთა კავშირს – მრავალფუნქციურ საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებას, რომელშიც სტუდენტების, პროფესორების, მასწავლებლებისა და მკვლევარების თანამშრომლობით იქმნება აკადემიური და პროფესიული განათლებისა და კვლევის ერთიანი სივრცე.

ერთიანი სივრცე ემყარება სამ პრინციპს:

- აკადემიურ თავისუფლებას;
- სინდისის თავისუფლებას;
- არჩევანის თავისუფლებას.

უნივერსიტეტი აერთიანებს 2 სკოლასა და 2 ფაკულტეტს:

- ბიზნესის სკოლას;
- სამართლის სკოლას;
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტს.

უნივერსიტეტში მოქმედებს 30-მდე კვლევითი ინსტიტუტი და ცენტრი. სწავლების და კვლევის მიზნებისთვის უნივერსიტეტი იყენებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განლაგებულ სასწავლო და სამეცნიერო ბაზებს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5
თბილისი 0162,
საქართველო

ტელ: (+995 32) 222 00 09
ფაქსი: (+995 32) 223 10 26
ელფოსტა: info@iliauni.edu.ge
ვებგვერდი: www.iliauni.edu.ge

სამართლის სკოლა
საბაკალავრო პროგრამები

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: სამართალი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი (Bachelor of Law)

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 240 ECTS კრედიტი

8 სემესტრი

18 კრედიტი – საბაზისო სავალდებულო (საუნივერსიტეტო მოდული) 24

კრედიტი – ინგლისური სავალდებულო

180 კრედიტი – სამართლის სპეციალობის (დარგობრივი) კურსები

120 კრედიტი – სამართლის სპეციალობის სავალდებულო კურსები

6 კრედიტი – სამართლის შესავალი კურსები

30 კრედიტი – საჯარო სამართლის ბლოკი (სავალდებულო)

54 კრედიტი – კერძო სამართლის ბლოკი (სავალდებულო)

24 კრედიტი – სისხლის სამართლის ბლოკი (სავალდებულო)

6 კრედიტი – საერთაშორისო სამართლის ბლოკი

60 ~~სავალდებულო~~ სამართლის არჩევითი კურსები (სამართლის არჩევითი კურსებიდან სტუდენტმა უნდა აირჩიოს მინიმუმ 60 კრედიტი)

საჯარო სამართლის არჩევითი ბლოკი

კერძო სამართლის არჩევითი ბლოკი

სისხლის სამართლის არჩევითი ბლოკი

საერთაშორისო სამართლის არჩევითი ბლოკი

სამართლის არჩევითი ბლოკი

18 კრედიტი – თავისუფალი კომპონენტი - თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში

სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს ნებისმიერი საუნივერსიტეტო საგანი ან ფაკულტეტის მიერ შეთავაზებული საგნები)

პროგრამის მიზანი: სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, მისთვის საზოგადოებრივ და სახელმწიფოს ცხოვრებაში სამართლის ფუნქციების შესწავლის, იურიდიული კვლევისა და სხვა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების გზით. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის სამართლებრივი საკითხების გაგების, გაანალიზებისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების სწავლებას, რაც ემსახურება თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მქონე იურისტის მომზადების მიზანს.

სტუდენტი დაეუფლება იურისტისათვის აუცილებელ მეთოდებს და შეიძენს სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარს, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, კომუნიკაციისა და სწავლების უნარს. პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარს.

სწავლის შედეგები:

სამართლის ბაკალავრს აქვს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება:

აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, ხოლო საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის - სიღრმისეული ცოდნა. გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის. კურსდამთავრებულმა იცის: განმარტების მეთოდები; სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპები; სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; ქონებრივი სამართალი; ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები; დანაშაულის არსი, სახეები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებები; სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოება; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

კურსდამთავრებულს შეუძლია მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში აბსტრაქტული მონაცემები და კონცეფციები გამოიყენოს მოცემული საჭიროებისათვის და პრობლემის გადასაჭრელად; მას წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების მიხედვით შეუძლია კვლევითი და/ან პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება და მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია; აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადანაცვებისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი. შეუძლია იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტი, ხელშეკრულება, საჩივარი, სარჩელი, წესდება) შედგენა;

დასკვნის უნარი

აქვს ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და რეზიუმირების უნარი, შეუძლია ნაშრომის/ტექსტის გაფორმება, პლაგიატობის თავიდან აცილება სხვათა ნაშრომების ციტირებისა და რეფერირების წესების დაცვით; აქვს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადანაცვების თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი;

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებული ფლობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, აქვს ინტერნეტისა და სხვა ელექტრონული წყაროების გამოყენების უნარი კომუნიკაციისა და ინფორმაციის მოძიებისთვის, დამოუკიდებლად ითვისებს ახალ საინფორმაციო ტექნოლოგიებს; კურსდამთავრებულს აქვს ჯგუფში მუშაობის უნარი; აქვს ინფორმაციის მშობლიურ და უცხოურ ენებზე მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარი;

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით, საკუთარი სწავლის შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სწავლის გაგრძელება. აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;

ღირებულებები

იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

შეფასების წესი (100-ქულიანი):

(A) 91 – 100 ფრიადი

(B) 81 – 90 ძალიან კარგი

(C) 71 – 80 კარგი

(D) 61 – 70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51 – 60 საკმარისი

(FX) 41 – 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება

(F) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი დავით მაისურაძე
ელფოსტა: davit.maisuradze@iliauni.edu.ge

საკონტაქტო პირი: კონსტანტინე ჩოკორაია
ელფოსტა: konstantine.chokoraia@iliauni.edu.ge

სამაგისტრო პროგრამები

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: კერძო (ბიზნეს) სამართალი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის მაგისტრი (Master of Law)
პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 4 სემესტრი/120 კრედიტი

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მაგისტრის მომზადება კერძო (ბიზნეს) სამართლის მიმართულებით, რომელიც შეძლებს პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებას და დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევას.

პროგრამის მიზანია ასევე კურსდამთავრებულის აღჭურვა ეროვნული სამართლებრივი სივრცის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციით. სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია, როგორც კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვაზე. შესაბამისად, კურსდამთავრებული მზად იქნება, სურვილის შემთხვევაში, განაგრძოს სწავლა უმაღლესი განათლების სადოქტორო საფეხურზე და ამავდროულად განახორციელოს უშუალო პრაქტიკული საქმიანობა.

სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება:

აქვს კერძო (ბიზნეს) სამართლის ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური და ინტერდისციპლინური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას.

ფლობს კერძო (ბიზნეს) სამართალში კვლევის უახლეს მეთოდებს. იცის თანამედროვე და საერთაშორისო შრომითსამართლებრივი სპეციფიკური რეგულირება, სახელშეკრულებო სამართლებრივი სპეციფიკური საკითხები, აქვს ცოდნა საერთაშორისო ბიზნესგარიგებათა მნიშვნელობისა და სპეციფიკის შესახებ. გააზრებული აქვს თანამედროვე საგადასახადო სამართლებრივი პრობლემები და საკითხები, აქვს სიღრმისეული ცოდნა საინვესტიციო სამართლებრივი საკითხებისა და გააზრებული აქვს ამ სფეროში პრობლემების კომპლექსურობა. გაცნობიერებული აქვს ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი კონკრეტული სფეროსათვის (ბიზნესსამართალი) მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება, შეუძლია კონკრეტული სამართლებრივი შინაარსის დოკუმენტთა პროექტების მომზადება (ხელშეკრულებები, იურიდიულ პირთა სადამფუძნებლო დოკუმენტაცია, ორგანიზაციის შიდა მიმოწერის დოკუმენტაცია, სარჩელები, და ა.შ.). შეუძლია კერძო სამართალში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდების გამოყენებით.

დასკვნის უნარი

კერძო (ბიზნეს) სამართლის სწავლის დროს წარმოშობილი სამართლებრივი ხასიათის პრობლემების გააზრებისას შეუძლია ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული მიდგომების პირობებში განხორციელებული ან/და განსახორციელებელი ცვლილებების ანალიზი და გამომდინარე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება.

სამართლის სკოლის პროგრამების (საბაკალავრო და სამაგისტრო) კატალოგი

2017-2018

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ ან/და უცხოურ ენაზე გადასცეს საკუთარი შეხედულებანი, მიღებული სამართლებრივი დასკვნები და არგუმენტები, მოამზადოს ანგარიში.

სწავლის უნარი

შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი, აქვს უნარი გაიფართოოს ცოდნა შესაბამისი სფეროს (კერძო (ბიზნეს) სამართალი) უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს სწავლის საჭიროებები და დაგეგმოს სასწავლო პროცესი.

ღირებულებები

მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული აანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს და, საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში.

შეფასების წესი (100-ქულიანი):

(A) 91–100 ფრიადი

(B) 81– 90 ძალიან კარგი

(C) 71– 80 კარგი

(D) 61– 70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51– 60 საკმარისი

(FX) 41– 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება

(F) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გიორგი ვაშაკიძე

ელფოსტა: giovashakidze@hotmail.com

საკონტაქტო პირი: კონსტანტინე ჩოკორაია

ელფოსტა: konstantine.chokoraia@iliauni.edu.ge

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: საჯარო სამართალი და პოლიტიკა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო სამართლის მაგისტრი (Master of Public Law)

პროგრამის მოსულობა კრედიტებში: 4 სემესტრი/120 კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტი განაწილებულია შემდეგი სახით:

სამართლის ბლოკი - 90 კრედიტი

24 კრედიტი – საჯარო სამართლის სპეციალობის (დარგობრივი) სავალდებულო კურსები

36 კრედიტი – საჯარო სამართლის სპეციალობის (დარგობრივი) არჩევითი კურსები

30 კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომი

სამართლის სკოლის პროგრამების (საბაკალავრო და სამაგისტრო) კატალოგი

2017-2018

პოლიტიკის ბლოკი – 18 კრედიტი

18 კრედიტი – პოლიტიკის სავალდებულო

კურსები

12 კრედიტი – თავისუფალი კომპონენტი/საჯარო პოლიტიკის არჩევითი კურსები

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, მოამზადოს საჯარო სამართლის მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი და ექსპერტი, რომელსაც ექნება სისტემური ცოდნა საჯარო სამართლისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების სხვადასხვა ასპექტის შესახებ, შეძლებს საჯარო სამართალსა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკის აქტუალური პრობლემების კომპლექსურ შესწავლას და შეძენილ ცოდნას გამოიყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში როგორც ადამიანის უფლებათა სამართლის, ასევე სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების განვითარების, რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების საკითხებთან მიმართებით.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება:

აქვს საჯარო სამართლის ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის საჯარო სამართალთან კავშირში მყოფი საჯარო პოლიტიკის საკითხების (საჯარო პოლიტიკის მართვა, დემოკრატია და საჯარო პოლიტიკის სხვა აქტუალური საკითხები) ცოდნა, რაც სტუდენტს აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას, გაცნობიერებული აქვს საჯარო სამართალს მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები საჯარო პოლიტიკის პერსპექტივიდან.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

განმარტების მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად შეუძლია საჯარო სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება, მათ შორის საჯარო პოლიტიკის პერსპექტივიდან, და პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება. აქვს საკანონმდებლო სფეროს სიახლეებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

დასკვნის უნარი

ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკისა, მეცნიერული მიდგომების და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების პირობებში შეუძლია ცვლილების ანალიზი და გამომდინარე ახლებური სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბება.

სწავლის უნარი

შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი, გაიფართოოს ცოდნა საჯარო სამართლის უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით.

სამართლის სკოლის პროგრამების (საბაკალავრო და სამაგისტრო) კატალოგი

2017-2018

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას აკადემიური და პროფესიული პატიოსნების სტანდარტების მიღწევათა გათვალისწინებით წერილობითი და ზეპირი ფორმით ქართულ და ინგლისურ ენებზე გადასცეს საკუთარი სამართლებრივი დასკვნები, მოსაზრებები და არგუმენტები.

ღირებულებები

მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად აანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს, მათ შორის დემოკრატიულ, ადამიანის პიროვნულ თავისუფლებაზე დაფუძნებულ ღირებულებებს და, საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში.

შეფასების წესი (100-ქულიანი):

(A) 91–100 ფრიადი

(B) 81– 90 ძალიან კარგი

(C) 71– 80 კარგი

(D) 61–70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51– 60 საკმარისი

(FX) 41– 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება

(F) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი კონსტანტინე კუბლაშვილი

ელფოსტა: konstantine.kublashvili@iliauni.edu.ge

საკონტაქტო პირი: კონსტანტინე ჩოკორაია

ელფოსტა: konstantine.chokoraia@iliauni.edu.ge

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: სისხლის სამართალი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სისხლის სამართლის მაგისტრი (Master of Criminal Law)

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 4 სემესტრი/120 კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტი განაწილებულია შემდეგი სახით:

სამართლის ბლოკი – 102 კრედიტი

48 კრედიტი – სისხლის სამართლის სპეციალობის (დარგობრივი) სავალდებულო კურსები, მათ შორის 12 კრედიტი – პრაქტიკული კომპონენტი, 6 კრედიტი – სამართლებრივი წერა და კვლევის მეთოდები

24 კრედიტი – სისხლის სამართლის სპეციალობის (დარგობრივი) არჩევითი კურსები

30 კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომი

სამართლის სკოლის პროგრამების (საბაკალავრო და სამაგისტრო) კატალოგი

2017-2018

18 კრედიტი – თავისუფალი კომპონენტი (სტუდენტმა შეიძლება აირჩიოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებით შემოთავაზებული ნებისმიერი კურსი)
პროგრამის მიზანი: სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური იურისტი, რომელსაც ექნება სისხლის სამართლის (მათ შორის სასამართლო პრაქტიკის, ევროპული და საერთაშორისო სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის ინსტიტუტების შესახებ) სისტემური ცოდნა და ასევე პრაქტიკული საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები და რომელიც შეძლებს სისხლის სამართლის სფეროში არსებული სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებას, შესწავლა-გაანალიზებას და მათ გადაწყვეტას, რაც მას გამოადგება ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში როგორც საჯარო (სასამართლო, პროკურატურა, გამოძიების ორგანოები), ისე კერძო (ადვოკატურა) სექტორში.

სწავლის შედეგი:

სისხლის სამართლის მაგისტრს აქვს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება:

აქვს სისხლის სამართლის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც მოიცავს სასამართლო პრაქტიკის, ევროპული და საერთაშორისო სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის ინსტიტუტების შესახებ ცოდნას, რაც სტუდენტს აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას, გაცნობიერებული აქვს თანამედროვე სისხლის სამართალს მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები. ამასთან ერთად, სტუდენტს აქვს სისტემური ცოდნა სისხლის სამართლის სფეროს პრობლემების/აქტუალური საკითხების შესწავლის თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების შესახებ.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

განმარტების მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად შეუძლია სისხლის სამართლებრივი, მათ შორის საერთაშორისო და შედარებით კონტექსტში არსებული პრობლემების, კომპლექსური შეფასება და პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება, რაც მას ხელს შეუწყობს სამოსამართლო, საპროკურორო, საადვოკატო და საექსპერტო საქმიანობაში. აქვს საკანონმდებლო სფეროს სიახლეებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

დასკვნის უნარი

ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერული მიდგომებისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების პირობებში შეუძლია ცვლილების ანალიზი და გამომდინარე ახლებური სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბება სისხლის სამართალში.

სწავლის უნარი

შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი, გაიფართოოს ცოდნა სისხლის სამართლის უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით.

სამართლის სკოლის პროგრამების (საბაკალავრო და სამაგისტრო) კატალოგი

2017-2018

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას აკადემიური და პროფესიული პათიოსნების სტანდარტების მიღწევათა გათვალისწინებით წერილობითი და ზეპირი ფორმით ქართულ და ინგლისურ ენებზე გადასცეს საკუთარი სამართლებრივი დასკვნები, მოსაზრებები და არგუმენტები.

ღირებულებები

მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად აანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს, მათ შორის ადამიანის პიროვნულ თავისუფლებაზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებულ ღირებულებს და, საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში.

შეფასების წესი (100-ქულიანი):

(A) 91–100 ფრიადი

(B) 81– 90 ძალიან კარგი

(C) 71– 80 კარგი

(D) 61– 70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51– 60 საკმარისი

(FX) 41– 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ

გადაბარების უფლება

(F) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ზაზა მეიშვილი

ელფოსტა: zaza.meishvili@iliauni.edu.ge

საკონტაქტო პირი: კონსტანტინე ჩოკორაია

ელფოსტა: konstantine.chokoraia@iliauni.edu.ge